



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27221787

თარიღი:27/06/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №32**

**27 ივნისი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლს“ (ს/კ 203867020) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2022 წლის 01 ოქტომბრამდე სარგებლობაში გადასცეს ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა №8-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 53.20.46.188) II სართულზე არსებული 130.3 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

